



საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის

სახელმწიფო

კონსერვატორია

თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 999 144,

www.tsc.edu.ge ელ-ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge



KA000012362915822

№ 02-26-R

07 / სექტემბერი / 2022 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მუსიკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ


საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" 22-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-14 მუხლის მე-9 და მე-12 პუნქტების საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში მუსიკოლოგიის (ყოფილი მუსიკის თეორია) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების, განვითარების და მოდიფიცირების მიზნით შეიქმნას პროგრამის განვითარების სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
 - 1.1. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, პროგრამის ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი მაია სიგუა;
 - 1.2. აკადემიური პერსონალი: პროფესორი ნატალია ზუმბაძე, ასოცირებული პროფესორი თამარ ჩხაიძე, ასოცირებული პროფესორი მარიკა ნადარეიშვილი, პროფესორი მარინა ქავთარაძე;
 - 1.3. მოწვეული პერსონალი: ნინო ქორიძე, ქეთი ჭიტაძე, დავით შულღიაშვილი, მაია მეტრეველი;
 - 1.4. სტუდენტები: ელენე ელიოზიშვილი; მარიამ ხუციშვილი; ანა სტროგანოვა;
 - 1.5. კურსდამთავრებული: ნანა კაცია, მუსიკის თეორიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული;
 - 1.6. დამსაქმებელი: თამარ მიქაძე, ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლეულის“ წარმომადგენელი;
 - 1.7. ადმინისტრაციული პერსონალი: რუსუდან თაბაგარი, კონსერვატორიის სასწავლო დეპარტამენტის სპეციალისტი;
 - 1.8. უცხოელი ექსპერტი: რუტა სტანევიჩიუტე, ლიეტუვის მუსიკისა და თეატრის აკადემიის პროფესორი;
 - 1.9. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, სამუშაო ჯგუფის მდივანი - ლიანა ხორბალაძე, კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის კოორდინატორი;
2. პასუხისმგებლობა სამუშაო ჯგუფის მუშაობაზე დაეკისროს პროგრამის ხელმძღვანელს;
3. კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელს ლიანა ხორბალაძეს დაევალოს სამუშაო ჯგუფში მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებით რექტორთან ანგარიშის პერიოდულად წარდგენა (აკრედიტაციის სტანდარტის მიხედვით);
4. მუსიკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო სტანდარტთან შესაბამისობის მიზნით, სამუშაო ჯგუფს კონსულტაციას უწევს ანა ჟორჟოლიანი, რექტორის კონსულტანტი ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში;
5. ჯგუფი უფლებამოსილია საჭიროებისამებრ სამუშაო პროცესში მოიწვიოს კონსერვატორიის შიგნით და გარეთ მომუშავე პერსონალი, რომელიც არ არის ამ ბრძანებით განსაზღვრული;
6. სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით და საქმის წარმოების ელექტრონული მართვის სისტემის საშუალებით ეგზავნება კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში;

7. ბრძანება დაეგზავნოს კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ნინო ბაქრაძეს და სამუშაო ჯგუფების წევრებს;
8. ბრძანება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge;
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N 64)

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია 
ელემტრონულად

ნანა შარიქაძე